საიდ. N 78129/03

IR 1209941

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №132-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ.“ (EGIS Gyógyszergyár Zrt.)(მის.: კერესზტური უტ 30-38, H-1106 ბუდაპეშტი, უნგრეთი; Keresztúri út 30-38, H-1106 Budapest, Hungary) N132-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის N1896/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „GORESIN“ (საიდ. N78129/03, IR 1209941) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-5 კლასის შემდეგი საქონლის

ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების და ონკოლოგიური და იმუნოლოგიური ხასიათის პათოლოგიების მკურნალობისათვის (გარდა სინთეზური მასალის შესახვევი (სახვევი) მასალა ადამიანის და ცხოველის ჭრილობებისათვის, ძირითადად დამწვრობისათვის; მასალები სხეულის ქსოვილის რეგენერაციისათვის, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი ფურცლები და ტილოები, სტომატოლოგიურო დაავადებების სამკურნალო მასალები, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი მემბრანები და ტილოები, სისხლძარღვოვანი ტრანსპლანტანტები, არტაშანი, ჭრილობების და დამწვრობისათვის შესახვევი მასალა, მასალები ორგანიზმის ქსოვილების რეგენერაციისათვის და კბილების დაავადებებისათვის, კერძოდ, ფოროვანი აშრევების სამკურნალოდ, სინთეზური მასალის მემბრანები და აფსკები“ (Human pharmaceutical preparations for the treatment of diseases and disorders of the central nervous system or oncological and immune system related diseases and disorders, (specifically excluding synthetic dressing materials for human and animal wounds, primarily burns; materials for the regeneration of body tissue, namely porous sheets and cloths of synthetic materials, materials for treating dental diseases, namely porous membranes and cloths of synthetic materials, vascular grafts, frames (splint; brace), dressing for wounds and burns, materials for the regeneration of body tissue and dental diseases, namely for treatment of porous exfoliation, membranes and cloths of synthetic materials).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის N1896/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „GORESIN“ მსგავსია კომპანიის „ვ.ლ. გორე & ასოსიატეს გმბჰ“ (W.L. GORE & ASSOCIATES GMBH)(მის.: 22, ჰერმან-ობერს-სტრასე 22, D-85640 პუცბრუნი, გერმანია; Hermann-Oberth-Strasse D-85640 PUTZBRUNN, DE) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა: „GORE“ (რეგ. N12911, რეგ. თარიღი 03/11/1999), „GORE“ (IR 607628, საერთაშორისო რეგ. თარიღი 18/03/1993) და კომპანიის „ვ.ლ გორე & ასოსიატეს, ინკ.“(W.L. Gore & Associates, Inc.) (მის.: 555 პაპერ მილ როად, ნევარკ, DE 19711, აშშ; 555 Paper Mill Road, Newark, DE 19711, US) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „GORE“ (IR 981199, საერთაშორისო რეგ. თარიღი 14/05/2008). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. განცხადებულ ნიშანში დამატებით დაბოლოების „SIN“ არსებობა ვერ სძენს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან განცხადებული ნიშნის ფუძე „GORE“ დაპირისპირებული ნიშნების იდენტურია. უამრავი მედიკამენტის დასახელება ბოლოვდება „SIN“-ით და შესაბამისად, იგი ფარმაცევტული პრეპარატებისთვის სრულებით არაგანმასხვავებელუნარიანი ბოლოსართი და სიტყვის არადომინანტი ნაწილია. რაც შეეხება საქონლოს ჩამონათვალს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი იდენტური არ არის, თუმცა მხოლოდ უმნიშვნელოდაა განსხვავებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი

ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ.“ (EGIS Gyógyszergyár Zrt.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშნები განსხვავებულია, ფონეტიკურად, საერთო შთაბეჭდილებითა და საქონლის ჩამონათვალით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოითქმის შემდეგნაირად - „გო-რე-სინ“ და მოიცავს 7 ფონემას, 4 თანხმოვანს, 3 ხმოვანსა და 3 მარცვალს. ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოითქმის შემდეგნაირად - „გო-რე“ და მოიცავს 4 ფონემას, 2 თანხმოვანს, 2 ხმოვანს და 2 მარცვალს. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნების ფონეტიკური განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ისინი შედგება ფონემათა განსხვავებული რაოდენობისაგან, აგრეთვე შეიცავენ მარცვალთა, თანხმოვანთა და ხმოვანთა განსხვავებულ რაოდენობას. განსხვავებულია ნიშნების დაბოლოებები - „სინ“ განცხადებულ ნიშანში და „რე“ დაპირისპირებულ ნიშნებში. გარდა ამისა, განცხადებულ ნიშანში მახვილი კეთდება მარცვალზე „სინ“, ხოლო დაპირისპირებულ ნიშნებში მარცვალზე „რე“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ნიშნებს შორის ფონეტიკურ განსხვავებას. აპელანტის პოზიციით, ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად. გრაფიკული მსგავსების დადგენისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები: საერთო მხედველობითი შთაბეჭდილება, შრიფტი, ასოების ხასიათის მიხედვით გრაფიკული სახე (მაგ. ბეჭდვითი თუ ხელნაწერი, მთავრული თუ არამთავრული ასოები და სხვ.), ასოთა განლაგება ერთმანეთის მიმართ, ალფაბეტი, ფერი და ფერთა შეხამება. განცხადებული სიტყვიერი ნიშნის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შედარებისას ცალსახაა, რომ ისინი ახდენენ აბსოლუტურად განსხვავებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებას მომხმარებელზე. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი და დაპირისპირებული ნიშნები „GORE“ (IR 607628, საერთაშორისო რეგ. თარიღი 18/03/1993) „GORE“ (IR 981199,

საერთაშორისო რეგ. თარიღი 14/05/2008) შესრულებულია ლათინური ასოებით, ისინი ახდენენ სრულიად სხვა შთაბეჭდილებას ასოების განსხვავებული რაოდენობის გამო - რაც უფრო აძლიერებს ვიზუალურ განსხვავებას. რაც შეეხება განცხადებულ ნიშანსა და ეროვნული რეგისტრაციით დაცულ გამოსახულებით ნიშანს „GORE“ (რეგ. N12911, რეგ. თარიღი 03/11/1999), აქ განსხვავება აშკარაა, რადგან რეგისტრირებული ნიშანი გამოსახულებითია, კერძოდ შედგება ფანტაზიური ელემენტისაგან და მართკუთხედ ჩარჩოში ჩასმული სიტყვისაგან. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განცხადებულია მე-5 კლასის სხვადასხვა საქონლის ჩამონათვალისათვის. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი განცხადებული იყო მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლისათვის: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის“ (Pharmaceutical preparations for human use). აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად იგი თანახმაა შეზღუდოს მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების და ონკოლოგიური და იმუნოლოგიური ხასიათის პათოლოგიების მკურნალობისათვის (გარდა სინთეზური მასალის შესახვევი (სახვევი) მასალა ადამიანის და ცხოველის ჭრილობებისათვის, ძირითადად დამწვრობისათვის; მასალები სხეულის ქსოვილის რეგენერაციისათვის, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი ფურცლები და ტილოები, სტომატოლოგიურო დაავადებების სამკურნალო მასალები, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი მემბრანები და ტილოები, სისხლძარღვოვანი ტრანსპლანტანტები, არტაშანი, ჭრილობების და დამწვრობისათვის შესახვევი მასალა, მასალები ორგანიზმის ქსოვილების რეგენერაციისათვის და კბილების დაავადებებისათვის, კერძოდ, ფოროვანი აშრევების სამკურნალოდ, სინთეზური მასალის მემბრანები და აფსკები“ (Human

pharmaceutical preparations for the treatment of diseases and disorders of the central nervous system or oncological and immune system related diseases and disorders, (specifically excluding synthetic dressing materials for human and animal wounds, primarily burns; materials for the regeneration of body tissue, namely porous sheets and cloths of synthetic materials, materials for treating dental diseases, namely porous membranes and cloths of synthetic materials, vascular grafts, frames (splint; brace), dressing for wounds and burns, materials for the regeneration of body tissue and dental diseases, namely for treatment of porous exfoliation, membranes and cloths of synthetic materials). აპელანტის განმარტებით, კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ.“ (EGIS Gyógyszergyár Zrt.) დაარსებულია 1863 წელს და დღეისათვის არის აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი უნგრული ფარმაცევტული კომპანია. მისი საქმიანობა მოიცავს წარმოება-გასაღების მთელ ჯაჭვს, მათ შორის, კვლევებს, აქტიური ფარმაკოლოგიური ინგრედიენტების წარმოებას, მზა პროდუქციის წარმოება-გასაღებას და მარკეტინგს. კომპანიის შესაძლებლობები მთლიანად მოიცავს სამკურნალო საშუალებების შექმნის, წარმოების და გასაღების ყველა ეტაპს და საშუალებას აძლევს კომპანიას აკონტროლოს მაღალი ხარისხი მთელი ციკლის განმავლობაში. დღეისათვის ასორტიმენტი მოიცავს 531 პრეპარატს (სხვადასხვა დოზირებითა და ფორმით), რომლებიც განეკუთვნება პრეპარატების 137 ჯგუფს და შეიცავენ 119 სახის აქტიურ ინგრედიენტებს. კომპანიის სამკურნალო საშუალებები აქტიურად იყიდება მსოფლიოს 60 ქვეყანაში წარმომადგენლობების და პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. დღეისათვის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 4000 ადამიანს, კომპანია იკავებს 28-ე ადგილს უნგრეთის მსხვილ დამსაქმებელთა რიცხვში. კომპანიას აქვს წარმომნადგენლობები სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საქართველოში, ყაზახეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდოვაში, პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთში, სლოვაკეთში, თურქეთში, უკრაინაში, უზბეკეთსა და ვიეტნამში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის N1896/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „GORESIN“ (საიდ. N78129/03, IR 1209941) დაცვის მინიჭება მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების და ონკოლოგიური და იმუნოლოგიური ხასიათის პათოლოგიების მკურნალობისათვის (გარდა სინთეზური მასალის შესახვევი (სახვევი) მასალა ადამიანის და ცხოველის ჭრილობებისათვის, ძირითადად დამწრობისათვის; მასალები სხეულის ქსოვილის რეგენერაციისათვის, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი ფურცლები და ტილოები, სტომატოლოგიურო დაავადებების სამკურნალო მასალები, სახელდობრ სინთეზური მასალის ფოროვანი მემბრანები და ტილოები, სისხლძარღვოვანი ტრანსპლანტანტები, არტაშანი, ჭრილობების და დამწვრობისათვის შესახვევი მასალა, მასალები ორგანიზმის ქსოვილების რეგენერაციისათვის და კბილების დაავადებებისათვის, კერძოდ, ფოროვანი აშრევების სამკურნალოდ, სინთეზური მასალის მემბრანები და აფსკები“ (Human pharmaceutical preparations for the treatment of diseases and disorders of the central nervous system or oncological and immune system related diseases and disorders, (specifically excluding synthetic dressing materials for human and animal wounds, primarily burns; materials for the regeneration of body tissue, namely porous sheets and cloths of synthetic materials, materials for treating dental diseases, namely porous membranes and cloths of synthetic materials, vascular grafts, frames (splint; brace), dressing for wounds and burns, materials for the regeneration of body tissue and dental

diseases, namely for treatment of porous exfoliation, membranes and cloths of synthetic materials).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №132-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GORESIN“ (საიდ. N78129/03, IR 1209941) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „GORE“ (რეგ. N12911), „GORE“ (IR 607628) და „GORE“ (IR 98119) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები განსახვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული ნიშანი „GORESIN“ შედგება 7 ასოსაგან და სამი მარცვლისაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები: 4 ასოსაგან და ორი მარცვლისაგან.

ამასთან, განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „გო-რე-სინ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები, როგორც „გო-რე“. განცხადებულ ნიშანში ბოლო მარცვალი - „სინ“ ნიშანს სძენს საკმარის ჟღერადობრივ განსხვავებას.

განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის

ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების და ონკოლოგიური და იმუნოლოგიური ხასიათის პათოლოგიების მკურნალობისათვის", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალისათვის: „არტაშანი, სახვევები ჭრილობისა და დამწვრობისათვის, მასალები ორგანიზმის ქსოვილის რეგენერაციისა და კბილის დაავადებების, კერძოდ, ფოროვანი აშრევების სამკურნალოდ, სინთეზური მასალის მემბრანები და აფსკები".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მე-5 კლასის საქონლის შეზღუდვის პირობებში, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „GORESIN" (საიდ. N78129/03, IR 1209941) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ზრტ." (EGIS Gyógyszergyár Zrt.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №132-03/15) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის N1896/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „GORESIN“ (საიდ. N78129/03, IR 1209941) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების და ონკოლოგიური და იმუნოლოგიური ხასიათის პათოლოგიების მკურნალობისათვის (Human pharmaceutical preparations for the treatment of diseases and disorders of the central nervous system or oncological and immune system related diseases and disorders).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ს. ებრალიძე

ს. დუმბაძე